პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 222 (2383) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვ. გოგლიძის VII მემორიალი




თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც პირველი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგლიძის ხსოვნას ეძღვნება. II ტურში, რომელიც 18 ნოემბერს გაიმართა, მ. ტალმა (რიგა) დაამარცხა ო. ფოიშორი (რუმინეთი), ზ. აზმაიფარაშვილმა — ნ. მაკდონალდი (ინგლისი), ო. რომანიშინმა (ლვოვი) — ა. პეკარეკი (ჩეხოსლოვაკია). დაზავდნენ ვ. მალანიუკი (სევასტოპოლი) — გ. კაიდანოვი (მოსკოვი). გადაიდო ტ. კაროლ (უნგრეთი) — ს. არხიპოვის (მოსკოვი) და ბ. კანცლერ (ფრუნზე) — ო. ცვიტანის (იუგოსლავია) პარტიები.

გუშინ, 19 ნოემბერს III ტურის შეხვედრები გაიმართა. გურგენიძემ მოუგო კაროლის, კანცლერმა — არხიპოვს. ყაიმზე შეთანხმდნენ უბილავა — ტალი, რომანიშინი — ზაიჩიკი და ფოიშერი — აზმაიფარაშვილი. ორი პარტია გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობენ მიხეილ ტალი, ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2,5-2,5 ქულა, ოლეგ რომანიშინი, გენადი ზაიჩიკი — 2-2.

დღეს, 20 ნოემბერს გაიმართება მეოთხე ტურის შეხვედრები.



## ექსპრეს-ინფორმაცია

⊙ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიღებაზე მიიწვიეს საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნანა იოსელიანი და 1986 წლის საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ექსჩემპიონი გოგონათა შორის ქეთევან არახამია. ორივე მოჭადრაკემ, როგორც ცნობილია, ახლახან ფრუნზეში ქალთა მომავალი მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის საგზური მოიპოვა.

მოჭადრაკეებს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გურამ ენუქიძე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ იოსელიანმა და არახამიამ უკვე დაიწყეს მზადება მსოფლიო ჩემპიონატის მომავალი ციკლისთვის. ითქვა, რომ ორივე მოჭადრაკეს შესწევს უნარი ღირსეულად გააგრძელოს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა სახელოვანი ტრადიციები.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელი მუშაკები.

⊙ გუშინ უჟგოროდში გამგზავრების წინ საქართველოს სპორტსახკომში მიიწვიეს ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც მომავალი წლიდან ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ასპარეზობის უფლება მოიპოვა. კომიტეტის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბ. სიხარულიძემ, ცალკეულმა ფეხბურთელებმა თქვეს, რომ ეცდებიან წარმატებას მიაღწიონ დამატებით მატჩში, თავს არ დაზოგავენ, რათა მომავალში კვლავ გაამართლონ ქართველ გულშემატკივართა იმედები.

⊙ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გაიმართა მოსწავლეთა მომავალი სპარტაკიადისათვის მზადების ხელმძღვანელების შტაბის მორიგი სხდომა. განიხილეს სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის კანდიდატთა მზადების საკითხი. შეირჩნენ კანდიდატები ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებისათვის: თბილისიდან — 34, ცხინვალიდან და ქუთაისიდან ორ-ორი, ზუგდიდიდან და ბათუმიდან თითო.

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## ოლეგ სტრიჟაკოვი



— ლიდერს მიჰყევი — გაისმოდა „ფახთაქორის" სტადიონზე მწვრთნელების შეძახილი. ლიდერი კი, მაღალი, გამხდარი ყმაწვილი, გამოზომილი ნაბიჯებით მეტრს მეტრზე ფარავდა და თითქოს საკუთარ თავთან განმარტოებული, მეტოქეებს ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა. ეს მოჩვენებითი სიმშვიდე დისტანციის ბოლოს სადღაც გაქრა, როცა სტაიერთა მრავალფეროვანი კავალკადის წინამძღოლმა დაკვირვებით შეათვალიერა მის ზურგს უკან მყოფნი და, თითქოს მეტოქეებს ბრძოლაში იწვევსო, ტემპს მკვეთრად მოუმატა. მწვრთნელების ხმა ჰაერში დარჩა: ვერავინ შეძლო ლიდერს ფეხდაფეხ მიჰყოლოდა. ასე მოიპოვა 23 წლის თბილისელმა ოლეგ სტრიჟაკოვმა საკავშირო სპარტაკიადის ოქროს მედალი სტაიერულ რბენაში, ერთადერთი—საქართველოს მძლეოსნობის ისტორიაში.

მორბენლის ოსტატობა პირველ ყოვლისა, მისი სისწრაფით განისაზღვრება. ახალგაზრდა მორბენლის სისწრაფე მხოლოდ ნაყოფი-

იხ. მე-4 გვ.



შაბათს, 22 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება საქართველოს აბსოლუტური პირველობა (ფალავნობა) ქართულ ჭიდაობაში. გათამაშდება წარსულში ცნობილი მოჭიდავეების: დავით ხიზამბარელის, კუდა გლდანელის, ნესტორ ესებუას, იაკობ ეგნატაშვილის, კოსტა მაისურაძის, შაშო ვერელის, სანდრო კანდელაკის, არსენ მეკოკიშვილის, ზაქარია ბაკურაძისა და ანზორ კიკნაძის სახელობითი პრიზები.

დასაწყისი — 17 საათზე.

## დაწინაურდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები

ქ. დიუბაიში (არაბთა გაერთიანებული საემიროები) გრძელდება ქალთა XII და ვაჟთა XXVII საჭადრაკო ოლიმპიადები.

IV ტურში საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა გუნდი შეხვდა ოლიმპიადის ლიდერს რუმინეთის ნაკრებს და დაამარცხა იგი ანგარიშით 2:1. ასეთივე ანგარიშით იუგოსლავიის გუნდმა სძლია უნგრეთის მოჭადრაკეებს, ხოლო ჩინეთის ნაკრებმა ანგარიშით 2,5:0,5 მოუგო ბულგარეთის გუნდს.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ სსრ კავშირის (10 ქულა), რუმინეთის, იუგოსლავიისა და ჩინეთის გუნდები (თითოეულს — 9,5 ქულა).

ვაჟთა ოლიმპიადაში დაწინაურდნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები, რომელთაც 4 ტურის შემდეგ 13-13 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. IV ტურში სსრ კავშირ — უნგრეთის გუნდების შეხვედრის ანგარიშია 2:1 (ერთი პარტია გადაიდო), იუგოსლავია — ინდონეზიის გუნდების მატჩისა — 2,5:0,5 (1).

12,5-12,5 ქულა აქვთ ჩინეთისა და ინგლისის გუნდებს.

ტანვარჯიშში

## ...ოთი მედალი ...ოლანდიიდან

როტერდამში (ჰოლანდია) ამასწინათ გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში. სხვებთან ერთად მასში თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ გოგოლაძეც მონაწილეობდა. ქართველმა სპორტსმენმა ამჯერადაც ჩვეული ოსტატობით იასპარეზა და ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ... უკანასკნელ იარაღზე — ძელძე (რომელზეც იგი ხალხთა IX სპარტაკიადის ოქროს მედლის მფლობელი იყო) ყველასათვის მოულოდნელად „გააფუჭა" ვარჯიში და ჩვეულზე მთელი ერთი ქულით ნაკლები შეფასება მიიღო (8,9). მან 115,35 ქულა მოაგროვა მრავალჭიდში და ... — მესამე ადგილები გაიყო ... საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვალერი ლიუკინ... პირველობა ხუ ძინ იონგმა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) მოიპოვა — 115, 85. ვ. გოგოლაძემ როტერდამიდან კიდევ ოთხი მედალი ჩამოიტანა ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში: „ოქრო" (ხტომა, თავისუფალ ვარჯიშსა და ძელზე) და „ბრინჯაო" (ტაიჭზე).

## ყოველ კვირა დღეს—სპორტულ სარბიელზე

მძლეოსნობაში გაზეთ „ლელოს" თაოსნობით მოწყობილ რეგიონალურ რესპუბლიკურ შეჯიბრებას — დევიზით „ვეძებთ ტალანტებს" — კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება შეემატა. გაზეთებმა „ახალგაზრდა კომუნისტმა" და „მოლოდიოჟ გრუზიიმ" დააწესეს პრიზი იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის, რომლებიც ფეხბურთში და კალათბურთში გამოიჩენენ თავს.

პირველი ასეთი შეჯიბრება მინიფეხბურთში შაბათს სპორტის სასახლეში მოეწყო. ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ საბურთალოს რაიონის 123-ე და მე-60 სკოლების გუნდები. შეხვედრა მესამოცელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 6:1. 62-ე სკოლის გუნდმა ანგარიშით 4:2 სძლია 61-ე სკოლის ნაკრებს.

ლენინის რაიონში, სუსხიანი ამინდის მიუხედავად, კვირას რაიონის ყველა მნიშვნელოვანი სპორტული ბაზა სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილმა მოსწავლეებმა დაიკავეს. სულ სარბიელზე 5600 მოსწავლე გამოვიდა.

ბევრი ბავშვი შეიკრიბა კვირას თემქის სტადიონ „სიხარულზე". აქ ჩატარებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში—სირბილში, სიგრძეზე ხტომაში და ჩოგბურთის ბურთის სროლაში რაიონის 26 სკოლის 1600-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

ლენინის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი დემურ ჭაფოძე:

— ეს ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიება დროული და მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, სკოლებში ბევრი სპორტული მონაცემების მქონე მოზარდი გვრჩება შეუმჩნეველი. სელექცია სელექციად და, საჭიროა ყველა მოზარდი ეზიაროს ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს.



60 მეტრზე მორბენალთა შედეგების შეჯამების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მანძილი ყველაზე სწრაფად, 8 წამში გაირბინა მე-13 სკოლის მეშვიდეკლასელმა გოგონამ ინა გულევიჩმა. სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა (3,90 მ) მე-15 სკოლის მეშვიდეკლასელს ნინო პატიაშვილს. ბიჭებში — 159-ე სკოლის მეშვიდეკლასელ რომა მიზილინს. ჩოგბურთის ბურთი ყველაზე შორს გასტყორცნა მე-11 სკოლის მეშვიდეკლასელმა გრიგორი ყიყენევსკიმ.

იხ. მე-2 გვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველ კვირა დღეს — სპორტულ სარბიელზე

დასასრული

**143-ე სკოლაში** რაიონის 9 სკოლის მოსწავლეები შეეჯიბრნენ ერთმანეთს მინი ფეხბურთში და კალათბურთში. აღსანიშნავია, რომ ეს სკოლა ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა რეგიონალურ რესპუბლიკურ შეჯიბრებას დევიზით — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს". მაშინ ბევრმა მოსწავლემ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი, მათგან საუკეთესოები მძლეოსნობის სექციებში ჩაეწერნენ, — გვითხრა ამ სკოლის ფიზკულტურის უფროსმა მასწავლებელმა გიორგი ხიდეშელმა..

**164-ე სკოლის** ფიზკულტურის დარბაზს კალათბურთელ გოგონათა შეძახილები აცოცხლებდა. აქ უკვე გაერკვიათ პირველი ადგილის მფლობელი. გამარჯვებას ულოცავდნენ 132-ე სკოლის კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდს.

164-ე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ვიქტორ რიაბოვი:

— კარგია, როდესაც ბავშვი სა-



ინტერესო საქმითაა დაკავებული. ამ შეჯიბრებამ ბავშვები თავის გამოჩენის სურვილით აანთო, მაგრამ აქვე ერთი რამ უნდა ვთქვათ. თუ სწორად გავიგე, ამ შეჯიბრებამ, უპირველეს ყოვლისა, სპორტული მონაცემების მქონე მოზარდები უნდა გამოავლინოს, მაგრამ გამოდის ისე, რომ კალათბურთში და ფეხბურთში სკოლა სკოლას ეჯიბრება და იმისათვის, რომ ერთმანეთს აჯობონ, ყველა ცდილობს უფროსი ასაკის მოსწავლეები, „ვეტერანებიც" კი გამოიყვანოს, თანაც, **თუ შეჯიბრებას სპეციალისტები არ დაესწრებიან, ვინც ტალანტები უნდა აღმოაჩინოს, ისე რა აზრი ექნება ამ ღონისძიებების ჩატარებას?**

უსათუოდ ანგარიშგასაწევი აზრია...

ბოლოს უნდა დავძინოთ, რომ ლენინის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე დემურ კალანდაძე), კომკავშირის კომიტეტმა (მეორე მდივანი თემურ გოშაძე) კარგად გაართვეს თავი შეჯიბრების ორგანიზაციას.

**პირველი მაისის** რაიონის 16 საშუალო სკოლის მოსწავლეები ოთხ ზონად დაიყვნენ — ისინი ასპარეზობდნენ „დინამოს" სტადიონზე, „ნორჩი დინამოელის" სკოლის ფეხბურთელთა ბაზაზე, 147-ე და 169-ე საშუალო სკოლების სპორტულ დარბაზებში. „დინამოს" სტადიონზე რკინიგზის 1-ლი, 25-ე, 116-ე და 134-ე საშუალო სკოლების აღსაზრდელები მძლეოსნობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ყოველ კვირა დილით ჩვენს სტადიონზე პირველი მაისის რაიონის სკოლების მოსწავლეები იკრიბებიან. შეჯიბრებები ხშირად იმართება. ახლა სტადიონს ხშირად აკითხავენ რაიონის სპორტსკოლის მუშაკები. მხოლოდ და მხოლოდ ასეთი მიდგომით მივაღწევთ იმ დიდ შედეგს, რომელიც დასახული გვაქვს.

—მეგზურობას გვიწევს კომკავშირის პირველი მაისის რაიკომის მეორე მდივანი ზურაბ კაკაბაძე:

— ჩვენ ასე გადავწყვიტეთ, — ამბობს იგი, — დღეს რომ ეს 4 სკოლა ეჯიბრება ერთმანეთს „დინამოს" სტადიონზე, მომავალ კვირას ისინი კალათბურთში შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო ისინი, ვინც დღეს კალათბურთსა და ფეხბურთში ასპარეზობს, შემდეგ კვირას მძლეოსნობაში გამოსცდიან ძალებს და ასე შემდეგ. ესე იგი, რაიონის ყველა სკოლის აღსაზრდელებს შორის გამარჯვებულთ სამ სახეობაში გამოვავლენთ — მძლეოსნობაში, ფეხბურთში და კალათბურთში (გოგონები და ბიჭები). მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი ის გახლავთ, ისე უნდა დავხვეწოთ ჩვენი მუშაობა, რომ ფიზკულტურის მასწავლებლებსაც და ბავშვებსაც მოუხაროდეთ. ბევრს ვფიქრობთ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზეც, ბავშვებისა და ფიზაღზრდის მასწავლებლების წახალისებაზეც, ერთი სიტყვით, ვალდებულების მოხდის მიზნით არ უნდა ვაკეთებდეთ საქმეს.

— არ შეიძლება არ აღვნიშნო, — განაგრძობს ზურაბ კაკაბაძე, — „დინამოს" სტადიონის, „ნორჩი დინამოელის" სკოლის ხელმძღვანელების დიდი მხარდაჭერა, ისინი მართლაც გულღია მასპინძლები არიან.

კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანთან ერთად სამივე ზონას ვეწვიეთ. ფეხბურთელები (მე-11, 27-ე, მე-100, 155-ე საშუალო სკოლები) „ნორჩი დინამოელის" ბაზის სტუმრები იყვნენ, კალათბურთელი გოგონები (მე-18, 24-ე, 147-ე, 166-ე) 147-ე სკოლის დარბაზში არკვევდნენ ურთიერთობას, კალათბურთელ ბიჭებს კი (22-ე, 130-ე, 140-ე, 169-ე) 169-ე სკოლა მასპინძლობდა. სხვათა შორის, ამ სკოლის დარბაზში თითისტოლა ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ უფროსების დარბაზიდან გასვლას.

**კალინინის რაიონის** 46-ე და 43-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები დილიდანვე კიროვის სახელობის პარკის მოედანზე შეიკრიბნენ. ისინი ფეხბურთში უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სანამ ეს ღონისძიება დაიწყებოდა, მოედანზე სკოლამდელები ვარჯიშობდნენ. ვოვა კოპალიანი „ნორჩ ვერელს". ავარჯიშებდა. პატარებმა ვარჯიში დაამთავრეს, მაგრამ სახლში წასასვლელად არავინ აჩქარებულა — აინტერესებდათ როგორ ითამაშებდნენ მათი უფროსი კოლეგები! მიუხედავად იმისა, რომ გაავდრდა, გულშემატკივრები ბოლომდე დარჩნენ მატჩის სანახავად. მაყურებელი არ გაწბილებულა. ღონისძიება საინტერესოდ და ორგანიზებულად ჩატარდა.

— „ეს კარგი წამოწყება, — გვითხრა რაიონის კომკავშირის კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ჯავახიშვილმა, — ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მოსწავლეთა ჩაბმას და ტალანტის მქონე მოზარდების გამოვლენას ემსახურება".

ნორჩი კალათბურთელები ენგელსის ქუჩაზე მდებარე სპორტსკოლაში შეიკრიბნენ, მათთან ერთად აქ მოვიდნენ სკოლების დირექციების წარმომადგენლები, ფიზკულტურის მასწავლებლები, კალინინის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელი გივი ქილიტაური, რომელიც ამავე დროს მსაჯის მოვალეობასაც ასრულებდა. ერთმანეთს შეეჯიბრნენ 51-ე სკოლისა და მე-3 ექსპერიმენტული, 47-ე და ცენტრალური მუსიკალური სკოლის ვაჟთა გუნდები. 56-ე, 51-ე, 53-ე, მე-3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის სპორტულ ღირსებას გოგონებიც იცავდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბავშვები კმაყოფილები დარჩნენ ამ ღონისძიებით და სურვილი გამოთქვეს, რომ ამგვარი ასპარეზობები ხშირად ჩატარდეს.

**ოქტომბრის რაიონში** 15 საშუალო სკოლაა. სარბიელზე თხუთმეტივეს რომ გამოეყვანა გუნდები, შეჯიბრება ორგანიზებულად ვერ ჩატარდებოდა, ამიტომ პირველ დღეს მძლეოსნობაში საასპარეზოდ ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე რვა სკოლის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. თითოეულ გუნდში V, VI, VII კლასის 36-36 მოსწავლე იყო. ბავშვები 60 და 100 მეტრზე რბენაში, აგრეთვე სიმაღლეზე ხტომაში და ბურთის ტყორცნაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. უნდა გენახათ, როგორი მონდომებით იბრძოდნენ ისინი, როგორ გულშემატკივრობდნენ ერთმანეთს. ან რაა გასაკვირი, ისინი ხომ თავიანთი კლასის, თავიანთი სკოლის სპორტულ ღირსებას იცავდნენ.

ფეხბურთელთა გუნდებმა მე-20 საშუალო სკოლის ბაზაზე მოიყარეს თავი. ოთხ-ოთხი შეხვედრა გაიმართა. ამდენივე შეხვედრა ჩაატარეს კალათბურთელმა გოგონებმა (მე-5 საშუალო სკოლაში) და ბიჭებმა (37-ე საშუალო სკოლაში).

რაიონის დანარჩენი 7 სკოლის წარმომადგენლები მომდევნო კვირას გამოვლენ სარბიელზე.

**საქარხნო რაიონი.** ისე, როგორც წინა კვირას, დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების სტადიონზე ამჯერადაც ხალხმრავლობა იყო. რაიონის სკოლების IV-VII კლასის მოსწავლეებმა მძლეოსნო-



ბაში შეჯიბრების ჩასატარებლად კვლავ ამ სტადიონის ბილიკებს მიაშურეს. მოკლე მანძილზე სირბილსა და სიგრძეზე ხტომას ამჯერად ტყორცნებიც დაემატა. ნორჩები უკვე შეეჩვივნენ ამ კონკურსსაც და თავიანთ სარბიელსაც — ისევ ისე ხალისიანად ირბინეს, იხტუნეს და ტყორცნეს „ყუმბარა", მაგრამ, **სამწუხაროდ, მძლეოსნობის სპეციალისტთა ყურადღება ვერც ამჯერად მიიპყრეს. დიახ, რაიონში ნიჭიერ ბავშვთა შესარჩევად მოწყობილ სპორტულ ღონისძიებას არც ამჯერად დასწრებიან ისინი, ვისი რჩევა-დარიგება და ყურადღება ახე აკლია ამ რაიონში გამართულ ნორჩთა მძლეოსნურ კონკურსებს.**



იმავე დღეს რაიონის ექვს სკოლაში შეჯიბრებები კალათბურთსა და ფეხბურთში ჩატარდა უფროსკლასელთათვის.

**კიროვის რაიონის** სკოლის მოსწავლეებმა ძირითადად თავი მოიყარეს ფონიჭალის დასახლებაში მდებარე 153-ე საშუალო სკოლის სპორტულ კომპლექსში. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს 127-ე სკოლის მოსწავლეებმა ზურიკო ტვილდიანმა და მარი კარიბოვამ, მიხეილ მალლაკელიძემ (153-ე სკოლა) და ჯონი კარაგიოზოვმა (72-ე).

— **სამწუხაროდ, ჩვენი შეჯიბრებით მძლეოსნობის არც ერთი სპეციალისტი არ დაინტერესებულა.** არადა ამ ღონისძიების მთავარი მიზანი ხომ სწორედ ტალანტების გამოვლენაა, — სავსებით სამართლიანად შენიშნა რაიონის კომკავშირის კომიტეტის პირველმა მდივანმა მერაბ მიქელაშვილმა. მაგრამ პროგრამაში იყო მხოლოდ რბენა, ხტომებში შეჯიბრებები ვერ ჩატარდა იმის გამო, რომ სკოლის სახტომი ორმო არ იყო მზად (?!).

ინტერესი გამოიწვია ნორჩების შეჯიბრებამ სიშორეზე ბურთის ტყორცნაში (ერთმანეთს 170 მოსწავლე ეჯიბრებოდა). ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრებები ფეხბურთში და კალათბურთში.

**ორჯონიკიძის რაიონი.** ამ რაიონის სპორტული ბაზები მთლიანად ბავშვებს დაეთმო. თექვსმეტი სკოლის მოსწავლეები მინიფეხბურ[თში], კალათბურთსა და მძლეოსნ[ობაში] ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ფეხბურთელები 35-ე სკოლ[ის მო]ედანზე ასპარეზობდნენ. ნორ[ჩთა შე]**ხვედრები აქ გამოცდილი, [...] მცოდნე პედაგოგთა მეთვალ[ყურე]ობის ქვეშ მიმდინარეობდა.**

კალათბურთელები 126-ე [საშუ]ალო სკოლის დარბაზში შე[ჯიბრ]ნენ, მძლეოსნებს კი „ლოკომ[ოტი]ვის" სტადიონმა უმასპინძლა. [გაი]მართა აგრეთვე შეჯიბრებები [...] ტრზე სირბილში, სიგრძეზე [ხტო]მასა და ბურთის ტყორცნაში.

**საბურთალოს რაიონის** წარ[მომა]დგენლებმა რაიონის სკოლებ[ის პი]რველობა ჩაატარეს მინიფეხ[ბურთში] და კალათბურთში. 15 ნოე[მბერს] თბილისის სპორტის სასახლ[ეში ას]პარეზობის საზეიმოდ გახსნ[ის ცე]რემონიალს დაესწრნენ საბურ[თალოს] რაიონის ხელმძღვანელი ორგა[ნიზა]ციების, კომკავშირის რაიკომ[ის, გა]ნათლების განყოფილების წარ[მომა]დგენლები.

კვირას სარბიელზე გამ[ოვიდნენ] ნორჩი კალათბურთელები. I [ექს]პერიმენტული სკოლის სპო[რტულ] დარბაზში მე-60 სკოლის კალ[ათბუ]რთელებმა სძლიეს 123-ე ს[კოლის] გუნდს, 62-ე სკოლის გუნდ[მა კი] მოუგო 61-ე სკოლის ნაკრებ[ს. შე]ჯიბრებები კალათბურთსა და ფეხბურთში I ექსპერიმენ[ტული] სკოლის დარბაზსა და სამედ[იცინო] ინსტიტუტის სპორტულ მო[ედანზე] ყოველ კვირას ჩატარდება.

## ეს ყველა[ს] საქმე[ა]

**ერთ** ღონისძიებას გასულ კვირას ორჯონიკიძის სახელობის რაიონში მეც დავესწარი. აქ 700-მდე მოსწავლე ასპარეზობდა. შეჯიბრებები სხვადასხვა სპორტულ ბაზაზე ტარდებოდა. მაგალითად, 35-ე საშუალო სკოლის სპორტულ მოედანზე ჩატარდა ფეხბურთელთა ასპარეზობა, რომელსაც ამავე სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლები მსაჯობდნენ. კალათბურთელთა მატჩები 126-ე საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართა. აქ თამაშებს ამ სახეობის სპეციალისტები მსაჯობდნენ. მძლეოსნებს „ლოკომოტივის" სტადიონი მასპინძლობდა. შეჯიბრებას დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მოსწავლეთა მშობლები.

ამგვარი ღონისძიება მისასალმებელია. შეიძლება მეტი მოსწავლეც ჩავაბათ ასპარეზობაში, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ საუკეთესო მონაცემების მქონე მოზარდები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რო[მ] სკოლის დირექციას ეს ღონ[ისძიება] მხოლოდ ფიზკულტურის მას[წავლე]ბლის საქმე ჰგონია. არა, [...] მომავალი თაობის აღზრდა [...] საქმეა. ამ მასობრივ ასპარე[ზობაში] აქტიური მონაწილეობა უნდ[ა მიი]ღონ სკოლების დირექციის [წარმო]მადგენლებმა. შეჯიბრებები [...] როულად სამ-ოთხ ადგილზ[ე ტარ]დება და საკითხავია, რა [...] ფიზკულტურის მასწავლე[ბელმა], რომელთა სკოლაშიც ერთი [...] ფიზაღზრდის ხელმძღვანელ[ია].

**გიორგი გაგიტა[ძე],**
**საქართველოს განათლებ[ის სამი]ნისტროს ბავშვთა და მოზ[არდთა] ცენტრალური რესპუბლ[იკური] სპორტსკოლის მეთოდისტ[ი, რეს]პუბლიკის დამსახურებულ[ი მას]წავლებელი.**

---

გვიმრავლოს...

## მასპინძლობდა ახალი სპორტული კომპლექსი

**ამას** წინათ გაიხსნა ცაგერის ცენტრალური ღია სპორტული კომპლექსი. მისი მოწყობა ცაგერის საგზაო სამმართველოს კოლექტივმა ითავა და სიტყვა შეასრულა კიდეც. რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებმა გადაწყვიტეს ამ კომპლექსის გახსნის დღეს ჩაეტარებინათ „კოლმეურნის" პირველობა რაიონული გაზეთის „კომუნიზმის სხივის" გარდამავალ პრიზზე. ეს ასპარეზობა გაიმართა ფრენბურთსა და კალათბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში, ვაჟთა შორის, პირველი ადგილი დაიკავა ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესის" გუნდმა, გოგონათა შორის — ლასურიაშელებმა. კალათბურთელ ვაჟებს შორის გამარჯვებული გამოვიდა რაიონის სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" გუნდი. საბოლოოდ გარდამავალი პრიზი მოიპოვა ლასურიაშის კოლმეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა. ეს შეჯიბრება ტრადიციული გახდება.

ცაგერის აეროპორტში ცხენოსნობის მოყვარულებმა მოიყარეს თავი. ჩატარდა შეჯიბრება ცხენოსნობაში, რომლის პროგრამაშიც შედიოდა დოღი (2000 მეტრზე) და ყაბახი.

დოღში ყველას აჯობა ლასურიაშის კოლმეურნეობის წევრმა თენგიზ ჩხეტიანმა, ყაბახში — შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების თანამშრომელმა ბადრი სალინაძემ.

**შ. კოპალიანი,**
**ცაგერის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის სხივის" კორესპონდენტი.**

---

**დღეს, 20 ნოემბერს, 11 საათზე**

ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ[ი] საწყალოსნო სპორტული კომპლექსის სხდომათა დარ[ბა]ზში (ლენინის ქუჩის I შესახვევი, № 34) **საქართვე[ლოს] საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა, საქართველ[ოს] სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფ[ო] კომიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კ[უ]ლტურის ინსტიტუტი ფიზიკური კულტურისა და სპ[ო]რტის საკითხებზე მომუშავე ლექტორთათვის ატარ[ე]ბენ რესპუბლიკურ თათბირ-სემინარს** თემაზე „ს[ა]**XXVII ყრილობის შუქზე რესპუბლიკაში ფიზიკურ[ი] კულტურისა და სპორტის განვითარების ამოცანები".**

ფეხბურთი

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

49

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა, 29-ე ტურის შვიდმა მატჩმა სამ დღეს გასტანა. მოგვყავს მათი სტატისტიკური მონაცემები:

**„დინამო“ (მოსკოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:1 (0:1).** ბაქოელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტს და დაწინაურდნენ კიდეც (გოლი მე-14 წუთზე გაიტანა ჯავადოვმა), მაგრამ დინამოელებმა შესვენების შემდეგ იძალეს და ორი ბურთი გაიტანეს, ორივე — 11-მეტრიანით (ბოროდიუკი).

გააფრთხილეს „ნეფთჩის“ ფეხბურთელები პანჩიკი და აჰმედოვი, ხოლო აზიმოვი მინდვრიდან გააძევეს.

დუბლიორები — 6:2.

**„სპარტაკი“ — „არარატი“ 6:2 (3:0).** სპარტაკელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და საკმაოდ იოლადაც გაიმარჯვეს. ბურთები გაიტანეს ხიდიატულინმა, რუდაკოვმა, როდიონოვმა (2) და ე. კუზნეცოვმა (2). ერევნელთაგან უპასუხეს ვაგ. ხაჩატრიანმა და რობ. გალუსტიანმა (პენალტი).

დუბლიორები — 5:0.

**„დინამო“ (მინსკი) — „ზენიტი“ 1:2 (1:1).** გოლები: კონდრატიევი („დინამო“), დმიტრიევი (პენალტი), ჟელუდკოვი („ზენიტი“).

გააფრთხილეს ლენინგრადელი ჩუხლოვი.

დუბლიორები — 3:1.

**„დინამო“ (კიევი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:3 (0:1).** ბურთები გაიტანეს მაცკიავიჩიუსმა, რუზგისმა და პანკრატიევმა (პენალტი).

გააფრთხილეს კიეველი კუზნეცოვი.

დუბლიორთა მატჩი არ შედგა, „ჟალგირისი“ თამაშზე არ გამოცხადდა, რისთვისაც მას დამარცხება ჩაეთვალა.

**„ტორპედო“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 1:0 (0:0).** გოლი 79-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა გრეჩნევმა.

გააფრთხილეს ხარკოველი აჯოევი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, შ. ხანიაშვილი (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი).

დუბლიორები — 4:1.

● **სულ** რამდენიმე ტურის წინ კიევის დინამოელები დაკარგული ქულების რაოდენობით ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ჩემპიონატის მონაწილეთა შორის. გუნდი, რომელიც წლეულს საბჭოთა ფეხბურთის უდავო ფავორიტი იყო, ყველას ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად მიაჩნდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც კიეველებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის უძნელესი მატჩები. მაგრამ საკავშირო ჩემპიონატში კიეველებმა მკვეთრად დათმეს, მოსკოვის „დინამომ“ კი, პირიქით, მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა გათამაშების ბოლო ეტაპი და ახლა, 29-ე ტურის შემდეგ, მოსკოვისა და კიევის დინამოელთა როლები შეიცვალა, დაკარგული ქულებით მოსკოველები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. ჩვენი ფეხბურთის ნამდვილი სენსაცია მოხდა 17 ნოემბრის მატჩში კიევში, როცა „დინამომ“ ვილნიუსის „ჟალგირისი“ მიიღო და ყოველგვარი გონივრული, რეალური პროგნოზის საწინააღმდეგოდ წააგო. წააგო დიდი ანგარიშით — 0:3.

ახლა, ასეთ ვითარებაში, საერთოდ ძნელია რაიმეს წინასწარმეტყველება, ფეხბურთის მოყვარულს გათამაშების ცხრილის მიხედვით თავად შეუძლია დასკვნების გამოტანა. ეტყობა, ყველაფერს მოსკოვისა და კიევის დინამოელთა ერთმანეთთან დარჩენილი ბოლო ორი მატჩი გადაწყვეტს, ამასთან, 29 ნოემბერს მოსკოველები შინ მიიღებენ მთავარ მეტოქეს, ჩემპიონატის ბოლო დღეს, 7 დეკემბერს კი კიევში ითამაშებენ. გარდა ამისა, კიეველებს სათამაშო აქვთ „ზენიტთან“ (ორჯერ) და „შახტიორთან“ (შინ). მოსკოვის „დინამო“ 22 ნოემბერს შინ მიიღებს „არარატს“.

მოსკოვის „სპარტაკს“ ერთადერთი შეხვედრა აქვს ჩასატარებელი თავის მინდორზე ბაქოს „ნეფთჩისთან“. წინასწარმეტყველება, ვიმეორებთ, საკავშირო ჩემპიონატის ფინიშზე ძალზე ძნელი და სათუო საქმე გახდა.

● **თითო** მატჩი აქვთ ჩასატარებელი თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“. თბილისელები 21 ნოემბერს თამაშობენ დნეპროპეტროვსკში, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ 22 ნოემბერს ოდესაში შეხვდება „ჩერნომორეცს“, რომელიც წლეულს აგრეთვე გამოეთხოვა უმაღლეს ლიგას.

● **მილოცვებს** ღებულობს მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი სერგეი როდიონოვი. მან „სპარტაკისა“ და „არარატის“ მატჩის 89-ე წუთზე გოლი გაიტანა მეტოქის კარში და გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის გრიგორი ფედოტოვის სახელობის ბომბარდირთა კლუბის 42-ე სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამ მეტად პრესტიჟული კლუბის ჩათვლაში ს. როდიონოვს 100 გოლი აქვს გატანილი: საკავშირო ჩემპიონატებში 73, სსრ კავშირის თასზე — 5, ევროპის საკლუბო ტურნირებში — 14 და სსრ კავშირის ნაკრებში — 8.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დინამო“ (მოსკოვი) | 27 | 13 | 10 | 4 | 38-23 | 36 | (—18) |
| 2. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 29 | 13 | 9 | 7 | 48-21 | 35 | (—23) |
| 3. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 28 | 12 | 9 | 7 | 41-28 | 33 | (—23) |
| 4. „დინამო“ (თბილისი) | 29 | 11 | 9 | 9 | 33-34 | 31 | (—27) |
| 5. „შახტიორი“ (დონეცკი) | 29 | 11 | 9 | 9 | 39-34 | 31 | (—27) |
| 6. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 29 | 11 | 8 | 10 | 30-30 | 30 | (—28) |
| 7. „დინამო“ (კიევი) | 25 | 10 | 10 | 5 | 38-27 | 30 | (—20) |
| 8. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 30 | 10 | 11 | 9 | 31-28 | 30 | (—30) |
| 9. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 29 | 10 | 8 | 11 | 30-37 | 28 | (—30) |
| 10. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 29 | 8 | 12 | 9 | 39-38 | 28 | (—30) |
| 11. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 29 | 9 | 9 | 11 | 19-22 | 27 | (—31) |
| 12. „დინამო“ (მინსკი) | 29 | 9 | 8 | 12 | 30-38 | 26 | (—32) |
| 13. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 29 | 8 | 12 | 9 | 33-34 | 36 | (—32) |
| 14. „არარატი“ (ერევანი) | 29 | 8 | 10 | 11 | 27-38 | 26 | (—32) |
| 15. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 29 | 7 | 7 | 15 | 26-37 | 21 | (—37) |
| 16. „ტორპედო“ (ქუთაისი) | 29 | 5 | 7 | 17 | 24-57 | 17 | (—41) |

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 20 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 29 | 21 | 4 | 4 | 73-30 | 46 |
| „სპარტაკი“ | 29 | 20 | 5 | 4 | 71-26 | 45 |
| „შახტიორი“ | 29 | 14 | 7 | 8 | 45-33 | 35 |
| „ჩერნომ.“ | 29 | 14 | 7 | 8 | 48-38 | 35 |
| „დინ.“ თბ. | 29 | 13 | 6 | 10 | 47-38 | 32 |
| „დინამო“ კ. | 25 | 13 | 6 | 6 | 39-30 | 32 |
| „ზენიტი“ | 28 | 12 | 8 | 8 | 49-41 | 32 |
| „დინ.“ მნ. | 28 | 8 | 12 | 8 | 37-33 | 28 |
| „დინამო“ მ. | 27 | 11 | 5 | 11 | 40-31 | 27 |
| „ჟალგირ.“ | 29 | 10 | 6 | 13 | 32-35 | 26 |
| „ტორპ.“ მ. | 30 | 9 | 8 | 13 | 39-44 | 26 |
| „არარატი“ | 29 | 10 | 5 | 14 | 32-42 | 25 |
| „მეტალის.“ | 29 | 7 | 10 | 12 | 32-39 | 24 |
| „ქაირათი“ | 29 | 7 | 6 | 16 | 25-56 | 20 |
| „ნეფთჩი“ | 29 | 3 | 7 | 19 | 21-68 | 13 |
| „ტორპ.“ ქ. | 29 | 4 | 4 | 21 | 19-65 | 12 |

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „გურია“ (ლანჩხუთი) | 46 | 28 | 5 | 13 | 80—66 | 61 |
| 2. ცსკა | 46 | 26 | 9 | 11 | 63—35 | 61 |
| 3. „დაუგავა“ (რიგა) | 46 | 24 | 14 | 8 | 82—46 | 60 |
| 4. ასკ „კარპატი“ (ლვოვი) | 46 | 22 | 10 | 14 | 69—52 | 54 |
| 5. „პამირი“ (დუშანბე) | 46 | 21 | 13 | 12 | 76—48 | 54 |
| 6. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 46 | 21 | 11 | 14 | 63—48 | 53 |
| 7. „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 46 | 21 | 10 | 15 | 86—69 | 52 |
| 8. „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 46 | 22 | 7 | 17 | 69—56 | 51 |
| 9. „კოლოსი“ (ნიკოპოლი) | 46 | 20 | 11 | 15 | 48—45 | 51 |
| 10. „ფაკელი“ (ვორონეჟი) | 46 | 20 | 8 | 18 | 56—44 | 48 |
| 11. „დინამო“ (ბათუმი) | 46 | 20 | 8 | 18 | 50—59 | 48 |
| 12. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 46 | 17 | 11 | 18 | 59—54 | 45 |
| 13. „კუზბასი“ (კემეროვო) | 46 | 16 | 13 | 17 | 63—61 | 44 |
| 14. „შინიკი“ (იაროსლავლი) | 46 | 16 | 14 | 16 | 41—45 | 44 |
| 15. ასკ (როსტოვი) | 46 | 16 | 11 | 19 | 54—51 | 43 |
| 16. „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 46 | 15 | 12 | 19 | 58—66 | 42 |
| 17. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 46 | 15 | 10 | 21 | 55—73 | 40 |
| 18. „დინამო“ (სტავროპოლი) | 46 | 14 | 15 | 17 | 66—58 | 40 |
| 19. „კოტაიკი“ (აბოვიანი) | 46 | 14 | 13 | 19 | 46—54 | 40 |
| 20. „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 46 | 14 | 14 | 18 | 41—48 | 40 |
| 21. ასკ (ხაბაროვსკი) | 46 | 12 | 12 | 22 | 49—61 | 36 |
| 22. „ისკრა“ (სმოლენსკი) | 46 | 11 | 13 | 22 | 30—60 | 34 |
| 23. „ატლანტასი“ (კლაიპედა) | 46 | 9 | 11 | 26 | 40—75 | 29 |
| 24. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 46 | 6 | 9 | 31 | 31—101 | 21 |

I ლიგა

**შენიშვნა: ქულათა თანაბარი რაოდენობა (40-40) დააგროვა 4 გუნდმა — „ფახთაქორმა“, სტავროპოლის „დინამომ“, „კოტაიკმა“ და „ყუბანმა“. ამ გუნდების ერთმანეთთან შეხვედრებში უარესი მაჩვენებლები აღმოაჩნდა „ყუბანს“, რომელიც ხაბაროვსკის არმიელთა გუნდთან, „ისკრასთან“, „ატლანტასთან“ და „ნისტრუსთან“ ერთად გაისად გადაინაცვლებს II ლიგაში.**

**I ლიგაში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს ლანჩხუთის „გურიის“ თავდამსხმელმა ბ. ფრიდონაშვილმა და დუშანბეს „პამირის“ ფეხბურთელმა ვ. მინასიანმა — 27-27. რიგის „დაუგავას“ თავდამსხმელს ა. სტარკოვს გატანილი აქვს 22 ბურთი.**

## საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

I ლიგა

I-XII ადგილები

**„კახეთი“ (თელავი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: ამისულაშვილი, ჯაშიაშვილი, რაზმაძე („კახეთი“), ჩიქობავა („ეგრისი“).

**„სულორი“ (ვანი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).**

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ვანელი ფეხბურთელი თ. ნეფარიძე.

**„ივერია“ (ხაშური) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:1. მსაჯი თ. სოფრომაძე (თბილისი).** გოლები: ოსაძე, ქურდაძე, ხარაზიშვილი-2 („ივერია“), გუჩუა („ამირანი“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ქავთარაძე, ციმაკურიძე („სამეგრელო“), ხუცურაული („არმაზი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს „არმაზის“ ფეხბურთელი ტ. ბაქრაძე.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).** გოლები: კიკნაველიძე, კიკნაძე („მეტალურგი“), ვ. თუთბერიძე („დინამო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ზესტაფონელი ფეხბურთელები დ. ხუჯაძე და დ. დადუნაშვილი, აგრეთვე, ზუგდიდელები მ. შეროზია და ჯავაშვილი.

წესრიგის დარღვევა ზესტაფონისა და ზუგდიდის გუნდების მატჩში ამით არ ამოწურულა. ერთმანეთს უხეშად ეთამაშნენ ზესტაფონელი თ. მშვენიერაძე და ზუგდიდელი ა. ჯოქია, არბიტრი მ. ჰელიძე იძულებული გახდა ხულიგნები გაეძევებინა მინდვრიდან. ამ დარღვევათა შესახებ თავიანთი პრინციპული გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ ზესტაფონისა და ზუგდიდის სპორტკომიტეტებმა.

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „მადნეული“ (ბოლნისი) 4:2. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა).** გოლები: კერესელიძე, ხარაბაძე, წიქარიშვილი-2 („შადრევანი“), მერეჩკო, ჯაგოვი („მადნეული“).

XIII-XXIII ადგილები

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 5:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ტალახაძე, შევარდოშვილი, ქარენაშვილი, ნერსეზაშვილი, თინიკაშვილი („დურუჯი“), დოლიძე („მერცხალი“).

**„იმედი“ (თბილისი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 0:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლი: ჰყონია („იმერეთი“).

**„დინამო“ (გაგრა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: ბონდარუკი, კვარაცხელია, („დინამო“), ელკანოვი, ნოზაძე („ქართლი“).

გაგრელი ა. რაგანიანი და გორელი შ. ტაბატაძე გააფრთხილეს 9-მეტრიანი მანძილის დაუცველობისთვის.

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:2. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).** გოლები: ჭუბაბრია, რუსია, ბართია („სალხინო“), კობალაძე, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“).

II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა:** „მუხნარი“ (მუხრანი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:1, „სიონი“ (დმანისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — „ალგეთი“ (მარნეული) 0:0, „კოლმეურნე“ (მარნეული) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:0.

**ცენტრალური ზონა.** „ხვამლი“ (ცაგერი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:2, „აბული“ (ახალქალაქი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:0, „იბერია“ (ქარელის რ-ნი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:0.

**დასავლეთი ზონა.** „დინამო“-2 (ბათუმი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:4, „დვაბზუ“ (მახარაძე) — „მზიური“ (გალი) 1:2, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „კოლმეურნე“ (გაგრა) 3:3, „ნაპერწკალი“ (ოქუმი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 0:1, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 5:2, „ზანა“ (აბაშა) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 4:4.

* * *

**რესპუბლიკური საფეხბურთო გათამაშების მონაწილეთა საყურადღებოდ!** თუ წლევანდელ შეჯიბრებაში პირველი და მეორე ლიგების ორი ან რამდენიმე გუნდი ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს პირველი ადგილისთვის ბრძოლაში, აგრეთვე, იმ გუნდებისთვის, რომლებსაც პირველი ლიგის დატოვება ემუქრებათ, მათ შორის დაინიშნება დამატებითი შეხვედრები თბილისში სპეციალური კალენდრის მიხედვით.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 20 ნოემბრისთვის

I-XII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო“ | 20 | 13 | 4 | 3 | 38-17 | 30 |
| „შევარ.“-სპი | 19 | 12 | 4 | 3 | 48-19 | 28 |
| „შადრევანი“ | 19 | 13 | 1 | 5 | 41-24 | 27 |
| „სულორი“ | 20 | 10 | 2 | 8 | 38-27 | 22 |
| „მეტალურგი“ | 20 | 10 | 2 | 8 | 35-37 | 22 |
| „დინამო“ ზ. | 20 | 9 | 3 | 8 | 43-28 | 21 |
| „მადნეული“ | 20 | 7 | 4 | 9 | 44-41 | 18 |
| „კახეთი“ | 20 | 7 | 2 | 11 | 28-40 | 16 |
| „არმაზი“ | 20 | 6 | 4 | 10 | 33-41 | 16 |
| „ამირანი“ | 20 | 6 | 2 | 12 | 23-44 | 14 |
| „ეგრისი“ | 20 | 5 | 3 | 11 | 22-53 | 13 |
| „ივერია“ | 20 | 4 | 3 | 13 | 17-39 | 11 |

XIII-XXIII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი“ | 19 | 9 | 4 | 6 | 27-20 | 22 |
| „დინამო“ გ. | 18 | 9 | 3 | 6 | 30-23 | 21 |
| „სალხინო“ | 18 | 8 | 5 | 5 | 28-18 | 21 |
| „სპარტაკი“ | 19 | 9 | 2 | 7 | 32-35 | 20 |
| ფიზკ. ინსტ. | 18 | 7 | 5 | 6 | 22-22 | 19 |
| „საპოვნელა“ | 18 | 8 | 2 | 8 | 27-24 | 18 |
| „დურუჯი“ | 18 | 6 | 6 | 6 | 24-22 | 18 |
| „სქური“ | 18 | 6 | 5 | 7 | 26-33 | 17 |
| „ქართლი“ | 18 | 5 | 6 | 7 | 14-15 | 16 |
| „იმერეთი“ | 19 | 5 | 6 | 8 | 18-22 | 16 |
| „იმედი“ | 18 | 2 | 8 | 8 | 13-26 | 12 |

# „ნორჩი დინამოელის“ კიდევ ერთი წარმატება

**მოსწავლეთა არდადეგების დღეებში ერევანში ჩატარდა საკავშირო ტურნირი ფეხბურთში. ტურნირი, რომელშიც 1973-1974 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 66 წლისთავს მიეძღვნა.**

პირველობისთვის იბრძოდა 10 გუნდი: თბილისის „ნორჩი დინამოელი“ და „ბერმუხა“, როსტოვის „სპორტინტერნატი“, სოხუმის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის გუნდი, ერევნის „არარატის“ სამი გუნდი (მათ შორის ერთი კონკურსგარეშე გამოდიოდა), ერევნის პროფკავშირების გუნდი, ერევნის „დინამოს“, ერევნის განათლების განყოფილების სპეციალიზებული სკოლის გუნდები.

ტურნირის მონაწილენი ორ ქვეჯგუფად გაიყვნენ. წინასწარი და შემდეგ კი ფინალური შეხვედრები კარგად ჩაატარეს თბილისის „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელებმა. მათ დაამარცხეს ერევნის „არარატი“ (9:1), პროფკავშირების გუნდი (1:0), როსტოვის „სპორტინტერნატი“ (1:0), ერევნის „დინამო“ (1:0), ორი ოქროს ქულით გავიდნენ ფინალურ ოთხეულში, ანგარიშით 4:1 სძლიეს ერევნის „არარატის“ ერთ-ერთ გუნდს (1972 წელს დაბადებულ ბავშვთა ნაკრებს), შემდეგ თბილისის „ბერმუხას“ (5:0) და საპატიო პრიზი დაისაკუთრეს.

აღსანიშნავია, რომ „ნორჩმა დინამოელმა“ წლეულს უკვე მეორე საკავშირო ტურნირში გაიმარჯვა.

ტურნირზე დაწესებული პრიზებიდან დინამოელებმა მოიპოვეს ორი: საუკეთესო მეკარისა — დავით ჯანელიძემ, ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელისა — გიორგი ანჩაბაძემ.

გუნდი ტურნირისთვის მოამზადეს ოთარ გეგეჭკორმა, თემურ ლორთქიფანიძემ და ლევან ყორდანიამ.

# ყველას უნახავს ვაშლის ხე? ანუ როგორ გაზრდილა „ჩემი მთები“

„ჩემი მთები“ გაზრდილა! გაზრდილა და ეს არ შეიძლება არ გვახარებდეს. არადა, თითქოს გუშინ დაიბადა.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ და ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეამ წელს მესამედ მოაწყო ნორჩ ხატვის მოყვარულთა გამოფენა-კონკურსი „ჩემი მთები“. პირველი გამოფენა-კონკურსი რესპუბლიკური იყო, მეორე — საკავშირო. და აი, მესამე უკვე საერთაშორისო გამხდარა. ნამუშევრები ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაშია გამოფენილი. მართალია, უცხოელი ბავშვებიდან მხოლოდ ბულგარელებს გამოუგზავნიათ ნამუშევრები, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც საკმარისია.



— ბულგარელმა ბავშვებმა ისეთი ნამუშევრებიც გამოგვიგზავნეს, რომლებშიც ასახული არაა ალპინისტთა, მეკლდეურთა, სამთო ტურიზმის მიმდევართა საქმიანობა, მთიანი რაიონების ყოფა-ცხოვრება, ერთი სიტყვით, ისეთი ნახატებიც, რომლებიც არ პასუხობდნენ ჩვენი კონკურსის პირობებს, — გვითხრა ბავშვთა სურათების გალერეის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ელენე გორგაძემ. — მაგრამ ბავშვებს ხომ ვერ გავაწბილებთ. ამიტომ მათ ნამუშევრებს აქვე გამოვფენთ, სხვა დარბაზში, სადაც ასევე საერთაშორისო გამოფენის ექსპონატები შეუზღუდავი თემატიკითაა წარმოდგენილი. სულ ათასამდე ნამუშევარი მივიღეთ. მათგან 150-მდე სურათი შევარჩიეთ.

ეს გამოფენა, რომელიც დღეს დაიხურება, ბევრმა ბავშვმა, მოზრდილმა და უფროსმა დაათვალიერა. შთაბეჭდილებათა წიგნი თანდათან გაივსო ჩანაწერებით. აქ ყოფილან ცნობილი მთამსვლელებიც: ლადო გურჩიანი, ნოდარ კანკავა, ლაერტ ჩართოლანი...

საექსპოზიციო დარბაზში შევხვდით ხელოვნებათმცოდნე როლენა საბანაძეს.

— გამოფენა გვარწმუნებს, რომ ბავშვებს უყვართ მთები, — შთაბეჭდილებას გვიზიარებს როლენა, — ისინი ნათელი, ფართოდ გახელილი თვალებით იყურებიან. გატაცებით ხატავენ ხევ-ხუვებში ჩაკარგულ სოფლებს, მთის ფერდობზე მარაოსავით გაშლილ ცხვრის ფარას, მწვერვალებისკენ გაბაწრულ მთამსვლელებს. ზოგიერთი ნამუშევრის ავტორი, ეტყობა, სერიოზულადაა გატაცებული მხატვრობით. ვინ იცის, იქნებ მათ შორის მომავალი დიდი მხატვრებიც არიან.

— გამოფენა-კონკურსის მიზანი ნიჭიერ შემოქმედთა გამოვლენა, ბავშვების ესთეტიკური აღზრდა, მთამსვლელობის, მეკლდეურობისა და სამთო ტურიზმის პოპულარიზაციაა, — ამბობს ქალბატონი ელენე. — მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ გვინდა ბავშვებს



მშობლიური ბუნება შევაყვაროთ. ბევრი ქალაქელი ბავშვი მთებს ფანტაზიით ხატავს, რადგან ისინი ჯერ თვალით არ უნახავს. ერთხელ ბავშვებს დავალებად მივეცით ვაშლის კრეფა დაეხატათ. ერთ გოგონას თვალები ცრემლებით აევსო და სლუკუნით გვითხრა, ვაშლის ხე არასოდეს მინახავს და როგორ დავხატოო. ერთი სიტყვით, გვინდა ბავშვებს ბუნების კარი გავუხსნათ. ადამიანი ხომ ბუნების შვილია და მან იგი ბავშვობიდანვე უნდა შეიყვაროს.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

**ექსპონატები საგამოფენო დარბაზიდან. პირველი ნახატის ავტორი არის 11 წლის ზვიად ხულელიძე, ხოლო მეორისა — 10 წლის არჩილ კალაძე.**

# ოლეგ სტრიჟაკოვი

დასასრული

ერი მუშაობის ნიადაგზე იზრდება. ბევრს ახსოვს, როგორ გამოჩნდა ოლეგ სტრიჟაკოვი ქვეყნის საუკეთესო მძლეოსანთა ტრადიციული სიის ბოლოში, გამოჩნდა და ორ წელიწადში ამ სიის თავში გადაინაცვლა. ამ დროს კი მის თანატოლებს სადღაც მეორე ათეულში ან მის მიღმა ეკავათ მოკრძალებული ადგილები. ამიტომ იყო, რომ ტაშკენტში სტაიერთა ფინალური გარბენების დაწყებამდე ისინი ფაქტიურად უკვე აღიარებდნენ სტრიჟაკოვის უპირატესობას.

საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვება განსაკუთრებით სასიხარულოა სპორტსმენისათვის, მაგრამ, ობიექტური შეფასებით, თბილისელმა მორბენალმა წლეულს კიდევ ორ მნიშვნელოვან გარბენში გაიმარჯვა, სადაც მეტოქეებიც უფრო ძლიერები იყვნენ და ბრძოლის სიმძაფრეც უფრო იგრძნობოდა. სპარტაკიადა ხომ ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის ჩატარდა, ხოლო ძმები ზნამენსკების საერთაშორისო მემორიალში და ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვებისათვის რჩეულ სტაიერთა მთელი რაზმი იბრძოდა.

თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მძლეოსნობის კალენდარში ძმები ზნამენსკების მემორიალს, დაუფიქრებლად გეტყვით სპორტის ამ სახეობის ყველა მოყვარული. ადრე ვწერდით კიდეც, რომ ამ პოპულარული ასპარეზობის 30-წლიან ისტორიაში ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებიდან მხოლოდ ორს ჰქონდა მოპოვებული გამარჯვება — ბრწყინვალე სპორტსმენებს რობერტ შავლაყაძესა და ვიქტორ სანეევს. მესამე ოლეგ სტრიჟაკოვია. ლენინგრადში გამართულ შეჯიბრებაში ათკილომეტრიანი დისტანციის ბოლო მონაკვეთზე ოლეგმა ძლიერი სპურტით ჩამოიტოვა მეტოქეები და სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

თვე-ნახევრის შემდეგ კიევში, ქვეყნის ჩემპიონატში სურათი განმეორდა: კვლავ სწრაფი ფინიში 10-კილომეტრიანი დისტანციის ბოლოს და კვლავ გამარჯვება — ოლეგ სტრიჟაკოვი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

როგორც უკვე იცით, ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა არ წაიყვანეს არც ერთი სტაიერი, ქვეყნის ჩემპიონიც კი. მიზეზად ისინი დაბალ შედეგებს ასახელებდნენ, მაგრამ ძალზე ძნელია მოსთხოვო ახალგაზრდა სტაიერს, მასზე უფროს და გამოცდილ მეტოქეებთან შეჯიბრებაში რბენასაც გაუძლვეს, ტემპზეც იფიქროს და ლამაზი გამარჯვებაც მოიპოვოს. ლენინგრადისა და კიევის სტადიონების ბილიკებზე ოლეგი ისე იქცეოდა, როგორც გარემოება უკარნახებდა. მან ორივე ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, მაგრამ მეტოქეთა პასიურობამ კონტინენტის პირველობის საგზური დააკარგვინა. შესანიშნავ სპორტულ ფორმაში მყოფმა კიდეც ინატრა, სადმე „სწრაფ გარბენში“ მაინც მიმეღო მონაწილეობა, რომ ჩემი საუკეთესო შედეგი მეჩვენებინაო. თუმცა, ოლეგი ჯერ ახალგაზრდაა, და ასეთი გარბენი მის სპორტულ ბიოგრაფიაში უთუოდ ბევრი იქნება.

IX საკავშირო სპარტაკიადაზე ოლეგი აშკარა ფავორიტად ითვლებოდა 5 და 10 კილომეტრზე რბენაში, მაგრამ საქმეში შუაზაფხური, სპორტსმენისათვის გაუსაძლისი სიცხე ჩაერია და 10 კილომეტრზე გარბენის ვერც ერთმა მონაწილემ ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო.

ჩვენი სპორტსმენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ გაუთვალისწინებელმა მარცხმა კალაპოტიდან ვერ ამოაგდო იგი: ამბავი, რომლითაც ეს წერილი დავიწყეთ, მეორე სტაიერულ დისტანციაზე, 5 კილომეტრზე რბენისას მოხდა, სადაც ოლეგ სტრიჟაკოვმა მაინც შეძლო თვალნათლივ დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა და ჩვენს მძლეოსანთა გუნდს ოქროს მედალი მოუპოვა.

ჭადრაკი

## ტიტული შეინარჩუნა

მწვანე კონცხმა კვლავ უმასპინძლა რესპუბლიკის მოსწავლე მოჭადრაკეებს. ამჯერად აქ შეიკრიბნენ საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის მონაწილე გოგონები და ჭაბუკები.

გოგონათა შეჯიბრებაში 16 მოჭადრაკე იბრძოდა პირველობისთვის. საუცხოოდ ითამაშა ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ სოფიკო ნიკოლაძემ (მწვრთნელი ალექსანდრე რაზოვსკი), რომელმაც 12 ქულა მოაგროვა და ზედიზედ მეორედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული.

ბიჭების ტურნირში (18 მოჭადრაკე) იმარჯვა თბილისის 69-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ იანის პოპოვმა (მწვრთნელი ბაგრატ გვენცაძე). იანისმა 14 ქულა მოაგროვა. ეს მისი პირველი სერიოზული წარმატებაა.

## „სპორტლოტო“

**16 ნოემბერს** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 46-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 1 (კალათბურთი), 4 (კრივი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 39 (ბადმინტონი), 40 (რიკაობა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 31“-დან:** 10 (წყალბურთი), 17 (ციგურაობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 28 (ტყვიის სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**„ლოკომოტივის“ სტადიონი**
ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 74

**20 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

საქართველოს თასის ნახევარფინალი

**„სამეგრელო“** (ჩხოროწყუ) — **„საპოვნელა“** (თერჯოლა)

თამაშის დასაწყისი 15 საათზე.

**26 ნოემბერი**

**„საირმე“** (მაიაკოვსკი) — **„მალაროელი“** (ჭიათურა).

თამაშის დასაწყისი 15 საათზე.

## ინფორმაცია

**კალგარი.** ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებში ბობსლეისტთა და მოციგურავეთა შეჯიბრება ერთ კომბინირებულ ტრასაზე გაიმართება. ამ დღეებში მოხდა ამ ტრასის გახსნა და მოეწყო პირველი ოფიციალური შეჯიბრება. გდრ-ის მოციგურავეთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვალტერ ენტცმა ახალ ნაგებობას მაღალი შეფასება მისცა და განაცხადა, რომ პირველი შეჯიბრების შედეგებით კმაყოფილია. სპორტსმენები ტრასის ცალკეულ მონაკვეთზე ფანტასტიკურ სისწრაფეს ანვითარებდნენ — საათში 130 კილომეტრს.

**ბერლინი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბალახის ჰოკეიში „ანდიჟანკაბ“ ქალთა კოლექტივი ტურნეს ატარებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მისი პირველი მოწინააღმდეგე ქვეყნის ჩემპიონატის მეხამე პრიზიორი ლაიფციგის „ემპორი“ იყო. გამარჯვება სტუმრებს ხვდათ — 6:0 (3:0).**

**ვილნიუსი.** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ცსკა-მ კიევის დინამოელები დაამარცხა — 77:46 (39:22) და 5 გამარჯვებით (შვიდიდან) სატურნირო ცხრილის მესამე საფეხურზე გადაინაცვლა. არმიელებზე უკეთესი მაჩვენებელი (ორი გამარჯვებით მეტი) ლენინგრადის ჯგუფში მოასპარეზე ნოვოსიბირსკის „დინამოსა“ და ლენინგრადის „სპარტაკს“ აქვთ.

# ბრძოლას გააგრძელებენ

**დამთავრდა** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ეტაპი. გამოვლინდნენ მეოთხედფინალური ჯგუფების მონაწილენი, რომლებიც საპატიო პრიზისთვის ბრძოლას დეკემბრის პირველ რიცხვებში გააგრძელებენ.

„ა“ მეოთხედფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება ოთხმა კოლექტივმა მოიპოვა. ესენია მოსკოვის ცსკა, ჩეხოსლოვაკიის „ოსტრავა“, ესპანეთის „ხუვენტუდი“ (ქალაქ ბადალონადან) და საფრანგეთის „ვილერბანი“. მოსკოვის არმიელები პირველ მატჩს 2 დეკემბერს ოსტრავაში ჩაატარებენ, მეოთხედფინალური ტურის შეხვედრებს კი 27 იანვარს ბადალონაში დაამთავრებენ.

მოეწყო კენჭისყრა „ბ“ მეოთხედფინალური ჯგუფის გუნდებისთვისაც, რომელშიც მოხვდნენ: ზაგრების „ციბონა“ (იუგოსლავია), მალინის „რესინგი“ (ბელგია), სტამბულის „ეფესი“ (თურქეთი) და პეზაროს „სკავოლინი“ (იტალია).

კენჭისყრა ტრადიციულად კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში გაიმართა, რომელიც მიუნჰენში მდებარეობს.

# ნოკაუტი... ბრძოლის შემდეგ

**იგი** არასდროს გამოირჩეოდა თავშეკავებულობით, ხშირად არღვევდა რეჟიმს, ეკამათებოდა მწვრთნელებს, არ ეთანხმებოდა მსაჯის გადაწყვეტილებას. 22 წლის მოკრივეს ჟოზე კარლოს კოსტას ბრაზილიაში ყველაზე უდისციპლინო მოკრივედ თვლიდნენ, მაგრამ მაინც ითმენდნენ მის არასპორტულ გამოხდომებს, ვინაიდან ახალგაზრდა იყო. იმედებს იძლეოდა როგორც მოკრივე და სჯეროდათ, რომ ადრე თუ გვიან გონს მოეგებოდა.

კოსტამ თავის თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი, როცა სან-პაულუს მოკრივეთა ჩემპიონატში უმაგალითო საქციელი ჩაიდინა: ფინალურ შეხვედრაში იგი გამოცდილმა თანამემამულემ ქულებით დაამარცხა. კოსტამ ეს გადაწყვეტილება შედარებით მშვიდად მიიღო, ხელიც კი დაუქნია განაწყენებულ გულშემატკივრებს, აქაო და ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულაო, მერე მიუახლოვდა არბიტრს და... მძლავრი დარტყმით ნოკაუტში გაგზავნა იგი.

მსაჯი 8 წუთის განმავლობაში გონზე ვერ მოვიდა, მერე კი რის ვაივაგლახით გასახდელში მიიყვანეს.

სან-პაულუს შტატის კრივის ფედერაციამ ახალგაზრდა მოკრივის საქციელი იმ დღესვე დაგმო და მკაცრი გადაწყვეტილებაც მიიღო — მას რანგზე გამოსვლა სამუდამოდ აუკრძალა.

კალათბურთი

# გარიგება

**ასეთი** შემთხვევა კალათბურთში ადრეც მომხდარა, თუმცა ამჯერად მან საკმაოდ სკანდალური სახე მიიღო. ჩინეთის ქალთა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში მონაწილე ორივე გუნდი (ანხაისა და შანდუნის პროვინციის კოლექტივები) ცდილობდა... წაეგო ბრძოლა. ეს, დამარცხებულ გუნდს უფრო სუსტ ნახევარფინალურ ჯგუფში თამაშის უფლებას მოუტანდა.

თავდაპირველად ამ უჩვეულო მატჩს მაყურებლები გაოგნებული უყურებდნენ, მერე კი სტვენით აიკლეს იქაურობა. მაგრამ გუნდები ჯიუტად აგრძელებდნენ შეხვედრას და ეფექტურად უტევდნენ საკუთარ ფარს.

მატჩის ბედი გადაწყდა ბოლო წუთზე. შანდუნის გუნდის ერთ-ერთმა მოთამაშემ ოსტატურად „ჩაჭრა“ მეტოქის გადაცემა და ასევე ოსტატურად გაგზავნა ბურთი... საკუთარ კალათში. გამარჯვება ანხაის კალათბურთელებს დარჩათ.

მაგრამ ეს უცნაური შეხვედრა ამით არ დამთავრებულა. ჩინეთის კალათბურთის ასოციაციას გადაწყვეტილი აქვს განიხილოს კალათბურთელთა საქციელი და მკაცრად დასაჯოს ამ სამარცხვინო გარიგების ინიციატორები.